



საქართველო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება

N 76
19/12/2017

76-02-4-201712190907



საქართველო, ქალაქ ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების,, მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე; 54-ე მუხლების, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა N13/64999 12.12.2017წ) და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მომართვების (N 39 14.12.2017წ) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის


ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- 1.1 **გიორგი დონაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - **კომისიის თავმჯდომარე**
 - 1.2 **ნიკოლოზ კენჭაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.**
 - 1.3 **თეა დვალი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული-შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინსპექტირების განყოფილების ხელმძღვანელი - **კომისიის მდივანი.**
 - 1.4 **გიორგი გოძიაშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - **კომისიის წევრი.**
 - 1.5 **ზადრი დონაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **კომისიის წევრი.**
 - 1.6 **ბესარიონ შავლაძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **კომისიის წევრი.**
 - 1.7 **ლავრენტი მუსელიანი** - პირველადი სტრუქტურული ერთეული - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული- ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი - **კომისიის წევრი.**
 - 1.8 **თენგიზ ველიაშვილი** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- **კომისიის წევრი.**
 - 1.9 **როსტომ კობახიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- **კომისიის წევრი.**
 - 1.10 **ლევან მეტინიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- **კომისიის წევრი.**
 - 1.11 **იოსებ ხურციძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი - **კომისიის წევრი.**
2. ეთხოვოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს: თენგიზ ველიაშვილს, როსტომ კობახიძეს, ლევან მეტინიძეს და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს იოსებ ხურციძეს მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში.
3. კომისიამ მუშაობისას იხელმძღვანელოს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N376 დადგენილებისა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული

პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ამბროლაური კოსტავას ქ. №13).
5. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერიდან.

ზვიადი მხეიძე



მუნიციპალიტეტის მერი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია